სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის

ბრძანება № NCDC 3 23 00000060

ქ. თბილისი 16/05/2023 **წელი**

სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევების შემფასებელი სამედიცინო ეთიკის კომისიის შემადგენლობის და დებულების დამტკიცების შესახებ

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 62-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის #107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტის, „გ“ და ''რ'' ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს, სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევების შემფასებელი სამედიცინო ეთიკის კომისიის (შემდგომში - ეთიკის კომისია) შემადგენლობა და დებულება თანდართული დანართის სახით.

2. ეთიკის კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მიღება (კომისიის წევრის სტატუსით) ეთხოვოს ქეთევან შერმადინს - სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკურლი ცენტრის“ ეპიდემიოლოგიური განყოფილების ექიმი ეპიდემიოლოგი.

3. დაევალოს ეთიკის კომისიას ამ ბრძანების ამოქმედებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში ჩაატაროს კომისიის სხდომა და აირჩიოს კომისიის თავმჯდომარე, მოადგილე და ადმინისტრატორი.

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სამედიცინო ეთიკის კომისიის შექმნის შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის 2011 წლის 10 მაისის # 30/ო ბრძანება.

5. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი) ერთი თვის ვადაში.

გენერალური დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი
თამარ გაბუნია

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად